

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა

შპს გურამ
თავართქილამის
სახელობის
თბილისის
სასწავლო
უნივერსიტეტი

შესავალი

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი (შემდგომში - „გთუნი“) თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს ბოლონის უნივერსიტეტების დიდი ქარტიით; ლისაბონის კონვენციით გამოხატული პრინციპებით; ერთი მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებებით, რაც ითვალისწინებს დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს, მათ შორის განათლების, კვლევის, ტექნოლოგიების, დასაქმებისა და სამოქალაქო საზოგადოების მოდერნიზებასა და ევროპული სტანდარტების დანერგვას.

გთუნი თავის საქმიანობას წარმართავს ბოლონის პროცესის ინსტრუმენტებით. ამასთან, იგი მოწოდებულია, გააძლიეროს ძალისხმევა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ-ის) მეტი ინტერნაციონალიზაციისთვის. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა გამომდინარეობს გთუნი-ს ხედვიდან და მისიიდან.

1. გთუნი-ს მიდგომები ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის მიმართ

ბოლო წლების განმავლობაში ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვან მიზნად იქცა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის, მათ შორის გთუნი-სთვისაც, შესაბამისად გთუნი-ს ჩამოყალიბებული აქვს საკუთარი მიდგომები ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის მიმართ, კერძოდ:

- გთუნი აცნობიერებს, რომ მისი საქმიანობა არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონულ და გლობალურ პერსპექტივებზე უნდა იყოს ორიენტირებული;
- უაღრესად კონკურენტულ საგანმანათლებლო გარემოში წარმატების საწინდარი დაწესებულების ინტერნაციონალიზაციაა;
- გთუნი-სთვის ინტერნაციონალიზაცია არის კომპლექსური ცნება და გულისხმობს მთელი ინსტიტუციის (მისი პროგრამების, კურსების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების თვალთახედვის, გარემოს, მომსახურების) ინტერნაციონალიზაციას;
- ინტერნაციონალიზაცია გთუნი-ს საქმიანობის უწყვეტი და განგრძობადი პროცესია. იგი საერთო საუნივერსიტეტო მიზანია და ამ პროცესში რაც შეიძლება მეტი მონაწილის ჩართულობას მოიცავს;
- გთუნი-სთვის ინტერნაციონალიზაცია არის საშუალება, რომლითაც საუნივერსიტეტო საქმიანობა დაუკავშირდება საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემას,

გაზრდის გთუნი-ს კურსდამთავრებულებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის კონკურენტუნარიანობას, ხელს შეუწყობს მათ წარმატებასა და პროფესიულ განვითარებას;

- ინტერნაციონალიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედებები შესაბამისობაში უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების შიდა სპეციფიკასთან, ტიპთან და პროფილთან;
- ინტერნაციონალიზაციას გთუნი განიხილავს, როგორც სამომავლო ინვესტიციას, რომელიც მოითხოვს ხანგრძლივი და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავებასა და ვალდებულებების შესრულებას სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის, ადმინისტრაციისა და პარტნიორების მხრიდან.

2. პასუხისმგებლობა

- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებასა და დამტკიცებაზე პასუხისმგებელი არიან უნივერსიტეტის მართვის ორგანოები;
- ინტერნაციონალიზაციის პროცედურების განხორციელებაზე, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, პასუხისმგებელი არიან უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, ფაკულტეტები და უნივერსიტეტის ყველა სხვა სტრუქტურული ერთეული;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებისა და შეფასების პროცესებს კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური.

3. გთუნი-ს ინტერნაციონალიზაციის მიზნები

- გთუნი-ს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ვრცელდება საუნივერსიტეტო საქმიანობის ძირითად სფეროებზე;
- ინტერნაციონალიზაციის მიზნები, რომელთა განვითარებაზეც ზრუნავს უნივერსიტეტი, შემდეგია: 1. ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია; 2. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარება; 3. სტუდენტთა ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება და მხარდაჭერა გლობალიზებულ გარემოში აქტიურობისთვის;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის თითოეული მიზანი განიხილება მოკლევადიანი და გრძელვადიანი ამოცანების ჭრილში.

4. ორგანიზაციული მართვის ინტერნაციონალიზაცია

გთუნი ინსტიტუციურ პარტნიორობას განიხილავს, როგორც შესაძლებლობას საუნივერსიტეტო საზოგადოების საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო

პროცესებში მეტი ინტეგრაციისათვის, რაც, თავის მხრივ, მართვის პროცესების მოდერნიზაციასთან არის დაკავშირებული.

4.1. მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:

- ინსტიტუციური პარტნიორობის ქსელის განვითარება ორგანიზაციული მართვის კონტექსტში;
- მართვის საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკების შესწავლა და ანალიზი;
- მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვისა და განვითარების ხელშეწყობა;
- ეფექტიანი ღონისძიებების დასახვა და განხორციელება საერთაშორისო საუნივერსიტეტო სივრცეში გოთუნი-ს ცნობადობისა და ავტორიტეტის ამაღლების მიზნით;
- საერთაშორისო კავშირების თანმიმდევრული განახლება, გაფართოება და გაღრმავება გოთუნი-სათვის პრიორიტეტული უნივერსიტეტების შერჩევით;
- საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება და განვითარება ფაკულტეტების საჭიროებების გათვალისწინებით;
- გოთუნი-ს ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სასწავლო პროცესის, პერსონალის, სამეცნიერო საქმიანობის, სტუდენტური სერვისების მართვის საკითხებში; უცხოეთის უნივერსიტეტებთან მიზნობრივი კავშირების დამყარება ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლის მიზნით;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება.

4.2. მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:

- ორგანიზაციული მართვის მოდერნიზაცია;
- არსებულ პარტნიორობთან საგანმანათლებლო თანამშრომლობის ასპექტების მეტი აქტუალიზაცია;
- აქტივობების ზრდა საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში ჩართვისათვის; ამ მიზნით აქტიური თანამშრომლობა მსხვილ დონორ ორგანიზაციებთან, რომელთაც აქვთ პროექტები უმაღლესი სასწავლებლებისათვის;
- უწყვეტი განათლების შესაძლებლობების შექმნა უნივერსიტეტის საზოგადოებისათვის, რომელიც მოიცავს სტუდენტებს, პერსონალს, კურსდამთავრებულებსა და პარტნიორებს;
- სხვადასხვა აკადემიურ და სამეცნიერო ასოციაციაში გაწევრიანების ხელშეწყობა;
- საერთაშორისო საგანმანათლებლო გამოფენებში, ფესტივალებში, ფორუმებში და ა. შ. მონაწილეობის ხელშეწყობა;

- ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობა;
- უცხოელი სტუდენტების გთუნი-ს პროგრამებში ჩართვა.

5. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარება

საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაცია გთუნი-სათვის წარმოადგენს სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის საერთაშორისო პოტენციალის სრულად რეალიზების დამხმარე საქმიანობას. ამავე დროს, ეს არის ინსტრუმენტი უნივერსიტეტის საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში ჩასართავად. საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის განვითარების მიზნის მისაღწევად გთუნი ახორციელებს საქმიანობას როგორც აკადემიური, ისე სამეცნიერო მიმართულებით, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს განსხვავებულ მიდგომებსა და განსახორციელებელ ამოცანებს.

5.1. აკადემიური მიმართულებით განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:

- თანამშრომელთა მიერ უცხო ენის შესწავლის ან/და უცხო ენაში კვალიფიკაციის ამაღლების ყოველმხრივი წახალისება და ხელშეწყობა;
- პარტნიორი უნივერსიტეტების საუკეთესო გამოცდილების გამოყენება სწავლებისა და სწავლის პროცესის ორგანიზებასა და მართვაში;
- აკადემიური/მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა სწავლების თანამედროვე მეთოდების საერთაშორისო ტრენდებით;
- აკადემიური მობილობის ზრდის ხელშეწყობა;
- ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში ინგლისური ენის კომპონენტის გაზრდა სილაბუსების ნაწილში ინგლისურენოვანი ლიტერატურის/რესურსების გათვალისწინებისა და აქტიური გამოყენების, სალექციო/სასემინარო მუშაობის გარკვეული ნაწილის ინგლისურ ენაზე ჩატარების, არჩევითი ინგლისურენოვანი კურსების შემოტანისა და პოპულარიზაციის, სასწავლო კურსების ფარგლებში ინგლისურენოვანი სასწავლო ღონისძიებების ჩატარების, საერთაშორისო სამეცნიერო ბაზების სასწავლო/კვლევით პროცესებში აქტიურად გამოყენების თვალსაზრისით;
- უცხოენოვანი პროგრამების მომზადებისთვის ზრუნვა.

5.2. აკადემიური მიმართულებით განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:

- ზრუნვა ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ეტაპობრივად მომზადებისა და განხორციელებისთვის;

- უცხოელი სპეციალისტების მეტი ჩართულობის უზრუნველყოფა გთუნი-ს სწავლა-სწავლების პროცესში;
- უცხოელი სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიისა და მათი მომსახურების ტაქტიკის შემუშავება;
- უცხოენოვანი კურსების, მოდულების, პროგრამების შექმნის შემდგომ მათში გთუნი-ს სტუდენტების ჩართვა და მათთვის დამატებითი შესაძლებლობების გაჩენა.

5.3. სამეცნიერო მიმართულებით განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:

- მეცნიერების თანამედროვე საერთაშორისო მიღწევების, ტრენდების, ხედვების შესახებ ინფორმაციის გაზიარების ღონისძიებების რეგულარულად გატარება;
- საერთაშორისო სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება და გაღრმავება კვლევითი პროექტების ფარგლებში;
- საერთაშორისო კონფერენციებში, სტაჟირებებში, სემინარებში გთუნი-ს აკადემიური/მოწვეული პერსონალის მონაწილეობის ხელშეწყობა;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებისთვის პარტნიორების მოძიებაზე ზრუნვა.

5.4. სამეცნიერო მიმართულებით განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:

- უცხოელი მეცნიერებისა და ექსპერტების მეტად ჩართვა გთუნი-ს სამეცნიერო საქმიანობაში;
- ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელების ხელშეწყობა;
- სამეცნიერო პუბლიკაციების, ელექტრონული ჟურნალებისა და მონაცემთა ბაზების გაზრდა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;
- ციტირებისა და იმპაქტ-ფაქტორის ჟურნალებში გამოქვეყნების მაჩვენებლების ზრდა.

6. სტუდენტთა ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრება და მხარდაჭერა გლობალიზებულ გარემოში აქტიურობისთვის

გთუნი ზრუნავს სტუდენტების ინტერკულტურული გამოცდილების გამდიდრებისათვის, რათა ისინი მზად იყვნენ გლობალიზებულ გარემოში აქტიურობისათვის. ეს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მნიშვნელოვანი მიზანია, რომლის განხორციელებაც სტუდენტებს მისცემს შესაძლებლობას, ჰქონდეთ წვდომა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის ცოდნასთან, კვალიფიციურ კადრებთან, რესურსებთან და სერვისებთან.

6.1. ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი მოკლევადიანი ამოცანებია:

- ინგლისური ენის სწავლებისა და სწავლის მეთოდების, შედეგზე ორიენტირებისა და

ეფექტიანობის ანალიზი; მეტი ეფექტიანი ღონისძიების გატარება სტუდენტთა მოტივირებისა და ენის ცოდნის ხარისხის გაუმჯობესებისათვის;

- საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტების შესახებ სტუდენტთა ინფორმირება;
- ინტერკულტურული ტრენინგების ჩატარება და გარე აქტივობების მეტი ინტერნაციონალიზაცია;

6.2. ამ მიზნის მისაღწევად განსახორციელებელი გრძელვადიანი ამოცანებია:

- სტუდენტთა მობილობის ზრდის ხელშეწყობა “Erasmus+” და სხვა შესაძლებლობების გამოყენებით;
- სტუდენტთა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და კონკურსებში მონაწილეობის ხელშეწყობა.

7. საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის პროცედურა

7.1. პროცედურის მიზანი

საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობის პროცედურის (შემდგომში - „პროცედურა“) მიზანია, უზრუნველყოს საერთაშორისო გაცვლით პროგრამებსა და პროექტებში გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობა.

7.2. პროცედურის განხორციელებაზე პასუხისმგებლობა

პროცედურის წარმართვისა და სამუშაოთა განხორციელების კოორდინაციაზე პასუხისმგებელია გთუნი-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, რისთვისაც იგი თანამშრომლობს უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, ფაკულტეტებთან, უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან და ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.

7.3. პროცედურის განხორციელების წესები და ვადები

- საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უნივერსიტეტის სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართვა ხდება ღია კონკურსის საშუალებით.
- კონკურსის წესები განისაზღვრება გაცვლითი პროგრამების განმახორციელებელ საერთაშორისო ორგანიზაციებთან/ინსტიტუციებთან/უსდ-ებთან კოორდინაციით; გთუნი-ს საერთაშორისო

ურთიერთობების სამსახური უზრუნველყოფს შესაბამის სამუშაოთა კოორდინაციას.

7.4. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:

- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს;
- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ/მოწვეულ პერსონალს;
- გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ პერსონალს.

7.5. კონკურსის გამოცხადება

- კონკურსი ცხადდება გაზაფხულის ან შემოდგომის სემესტრისათვის, თუ სხვა თარიღები არ არის განსაზღვრული გაცვლითი პროგრამების განმახორციელებელი საერთაშორისო ორგანიზაციების /ინსტიტუციების/უსდ-ების მიერ.
- კონკურსის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება გთუნი-ს მარკეტინგისა და სტრატეგიული კომუნიკაციების სამსახურს, რომელიც აქვეყნებს მას ყველა საუნივერსიტეტო საინფორმაციო არხის მეშვეობით.

8. კონკურსის პირობების შესახებ ინფორმირება

საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური ატარებს საინფორმაციო შეხვედრებს სტუდენტებთან, აკადემიურ/მოწვეულ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, აცნობს მათ სავიზო და ბინადრობასთან დაკავშირებულ რეგულაციებს და საკონკურსო ვადებში იღებს მონაწილეთა საკონკურსო დოკუმენტებს.

9. კონკურსის ჩატარების ეტაპები და საკონკურსო კომისია

9.1. კონკურსის I ეტაპი: საკონკურსო დოკუმენტების წარდგენა; კონკურსის წესების შესაბამისად კონკურსანტების მიერ წარსადგენი დოკუმენტებია:

- განცხადება მონაწილეობის შესახებ (განცხადების ფორმის შესაბამისად);
- მაღალი აკადემიური მოსწრების დამადასტურებელი დოკუმენტი (სტუდენტების შემთხვევაში);
- დიპლომების ასლები (მაგისტრატურის სტუდენტების, აკადემიური/მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში);
- სამოტივაციო წერილი (ქართულ და ინგლისურ ენებზე);
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთი დოკუმენტის

არარსებობის შემთხვევაში, ინგლისური ენის ცოდნა შემოწმდება საუნივერსიტეტო შიდა გამოცდით; ამასთანავე, იმ პირთათვის, რომლებიც გადაწყვეტენ ხარისხის მოსაპოვებლად წასვლას, აუცილებელია TOEFL ან IELTS ტესტის ჩაბარება);

- შესაბამისი ცნობა უნივერსიტეტიდან;
- CV ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- 1 ან 2 სარეკომენდაციო წერილი (სტუდენტების შემთხვევაში სარეკომენდაციო წერილი გაიცემა საგნის ლექტორის მიერ; აკადემიური/მოწვეული პერსონალის შემთხვევაში სარეკომენდაციო წერილი გაიცემა შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის, პროგრამის ხელმძღვანელის ან/და სხვა ისეთი პირის მიერ, რომელიც იცნობს პირის სამეცნიერო/პედაგოგიურ მოღვაწეობას; ადმინისტრაციული პერსონალის შემთხვევაში სარეკომენდაციო წერილი გაიცემა მისი ხელმძღვანელის მიერ).
- სხვა უნარებისა და მიღწევების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებიც კონკრეტული კონკურსის თავისებურებების გათვალისწინებით, შესაძლოა, მნიშვნელოვანი იყოს პირის შესარჩევად (კონფერენციებში, ტრენინგებში, მასტერკლასებსა და სხვა კონკრეტულ აქტივობებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები).

9.2. კონკურსის II ეტაპი: ტესტირება ინგლისურ ენაში;

9.3. კონკურსის III ეტაპზე გადასულ მონაწილეებს ევალებათ, წარმოადგინონ:

- მაქსიმუმ 20-წუთიანი პრეზენტაციები (Power Point-ში ინგლისურ ენაზე) შემდეგ თემებზე: 1. საქართველო და მიმდები ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ასპექტები (10 წთ.); 2. შერჩეული თემა სპეციალობის მიხედვით (10 წთ.)

9.4. საკონკურსო კომისია იქმნება შემდეგი შემადგენლობით:

- გთუნი-ს რექტორი;
- გთუნი-ს პარტნიორთა კრების ხელმძღვანელი
- გთუნი-ს ვიცე-რექტორები;
- გთუნი-ს საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის უფროსი;
- გთუნი-ს პროფესიული განვითარების ცენტრის უფროსი;
- გთუნი-ს კვლევების ხელშეწყობის ცენტრის უფროსი;
- გთუნი-ს შესაბამისი ფაკულტეტ(ებ)ის დეკან(ებ)ი.

10. მიღებული განათლების აღიარება

საქართველოში დაბრუნების შემდგომ, მიღებული განათლების აღიარება ხორციელდება სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების, საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის №98/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" წესის შესაბამისად.

11. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობების ინიცირების მექანიზმები და პროცედურა

საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ახალი შესაძლებლობების ინიცირების მექანიზმები და პროცედურა მოიცავს თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობების მოძიებასა და წარდგენას. ეს ხდება როგორც ფაკულტეტების ინიციატივით, ისე საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ. ახალი ინიციატივების განხილვა და საუნივერსიტეტო მისიასთან მათი შესაბამისობისა და მიზანშეწონილობის განსაზღვრა ხდება საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მიერ. საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად ინიციატივები წარედგინება რექტორს. რექტორის მიერ მოწონებული ინიციატივები ხორციელდება შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მონაწილეობით.

12. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შეფასება

ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შესაფასებლად გთუნი ეყრდნობა მონიტორინგსა და შეფასებას, რომელსაც ახორციელებს მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან კოორდინაციით. ეს პროცედურა ტარდება ყოველწლიურად და მოიცავს უკუკავშირის ეტაპს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ანგარიშის საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავებას არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად და პოლიტიკის კორექტირებას.

13. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასების ინდიკატორები

13.1. საერთაშორისო თანამშრომლობისა და ინტერნაციონალიზაციის ეფექტიანობის შეფასება ეფუძნება შემდეგ ინდიკატორებს:

- საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობის ზრდის ინტენსივობა და ხარისხი;
- სტუდენტებისა და პერსონალის საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილეობის დინამიკა;

- საერთაშორისო კვლევითი და აკადემიური სტანდარტების დამკვიდრების ხარისხი;
- ინტერნაციონალიზაციის მექანიზმების შესახებ სტუდენტებისა და პერსონალის ინფორმირებულობა და მათი გამოყენების ხარისხი (ყოველწლიური გამოკითხვა/მონიტორინგის შედეგები).